დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასკვნის წარმოდგენის თარიღი

20.02.2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი *ირაკლი*

გვარი *გორგილაძე*

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	მე-7
4	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა MA in Diplomacy and International Politics
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	-
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS
9	განხორციელების ადგილი[5]	ჭავჭავაძის გამზ. №1, №3, №8 თსუ-ს კორპუსები I, II, VI; თბილისი, 0179, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული ,საგანმანათლებო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება: № 45162; 20/01/2022
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 29 დეკემბერი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ	1 წელი, 2022 წლის 29 დეკემბერი

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალური სწავლის სფეროს
[2]ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი (ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

	ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2028 წლის 29 დეკემბერი

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. (1.2) რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
2. (2.3) რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. (2.4) რეკომენდებულია, დარგობრივ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა;
4. (2.6) რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა;
5. (2.6) რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთჯერადობა; განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; გასწორდეს ჩანაწერი F/FX შეფასებასთან დაკავშირებით;
6. (5.3) რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება/გააქტიურება პირველ და მეორე სტანდრტთან მიმართებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“) "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2022 წლის 20 იანვრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის (შემდგომში „ანგარიში“) ვადად უსდ-ს განესაზღვრა 2022 წლის 29 დეკემბერი. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით - 2023 წლის 23 იანვარს აქვს წარმოდგენილი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ აკრედიტაციის საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა გაზარა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები რამაც მე-2 სტანდარტის შეფასებაში ცვლილება გამოიწვია კერძოდ, 2.3 ქვეკომპონენტში დაემატა რეკომენდაცია, 2.4 ქვეკომპონენტის

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

პირველი რეკომენდაცია გადავიდა რჩევებში, ხოლო მეორეს რეკომენდაციას შეეცვალა ფორმულირება, 2.6 ქვეკომპონენტში დაემატა ორი რეკომენდაცია, შედეგად მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

საბჭომ გადაწყვიტა ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (2022 წლის 29 დეკემბერი), ("საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.").

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა განიხილა საბჭოს 2022 წლის 20 იანვრის (MES 7 22 0000045162) გადაწყვეტილებით დაკისრებული რეკომენდაციების (მათ შორის რჩევების) შესრულების გზების და ფორმების საკითხი. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ასევე ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა შესაბამისი ფორმით მოამზადა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარსადგენი ანგარიშის პროექტი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ: უნივერსიტეტმა განახორციელა რიგი ცვლილებები საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესასრულებლად. ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ***საბჭოს რეკომენდაციები უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.***

რჩევ(ებ)ი[8]

1. (1.1) პოტენციურ დამსაქმებლების ფართო სპექტრთან (როგორც საჯარო ისე არასამთავრობო და საერთაშორის ორგანიზაციებთან), კომუნიკაციის სტრუქტურირებული მექანიზმის შექმნა, ფოკუს ჯგუფის ან მრგვალი მაგიდის ფორმატში რეგულარული კომუნიკაცია;
2. (2.4) სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერება, არჩევითი კომპონენტის სახით;
3. (2.4) დარგის და შრომის ბაზრის საჭიროებების ფართო სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პრაქტიკული და ვერბალური უნარებით სტუდენტების აღჭურვა და ამ კომპონენტების გასაძლიერებლად შესაბამისი ქმედებების განხორციელება, მათი სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების და თანამედროვე მეთოდების გამოყენების გზით;
4. (2.4) ისეთი უნარების გაძლიერება, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება და ვერბალური უნარები;
5. (3.1) სასურველია გაღრმავდეს დამსაქმებლების და კარიერულ ცენტრს შორის არსებული თანამშრომლობა და კარიერული სამსახურის მიერ სტუდენტებისთვის ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება;
6. (5.3) მიზანშეწონილია უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ისეთი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს პროგრამების თანხვედრას/განსხვავებას და დადარების შედეგებს, რაც შექმნის პროგრამაში ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებების შესწავლის შესაძლებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ასევე მოიცავს საბჭოს მიერ გაცემული რჩევების შესრულების თაობაზე ინფორმაციას. საბჭოს მიერ გაცემული რჩევები უსდ-ს მიერ არ იქნა გაზიარებული.

დამატებითი ინფორმაცია[10]

N/A

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	**1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
კომპონენტის დასახელება[13]	1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
რეკომენდაცია I[14]	*რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;*
შეფასება	დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ რეკომენდაციის შესაბამისად გადაიხედა პროგრამის სწავლის შედეგები, დადარდა ცალკეული სავალდებულო კურსის სწავლის შედეგებს და კურიკულუმის რუკას. ყველა დოკუმენტი მოვიდა შესაბამისობაში - რეფორმულირდა სწავლის შედეგების ცოდნა და გაცნობიერების ნაწილი. თანდართული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები ითვალისწინებს პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებას, სწავლის შედეგების მიღწევის დონის გაზომვას და მიღებული შედეგების საშუალებით, პროგრამის სწავლის შედეგების კომპეტენციების დახვეწა/მოდიფიცირებას. რა თქმა უნდა სტანდარტით განსაზღვრულ მაჩვენებლების ანალიზს. ***ამრიგად, მითითებული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია.***
რჩევა[15] I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამა; • კურიკულუმის რუკა; • ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №9 , 19 დეკემბერი,2022 (ამონაწერი).

სტანდარტის დასახელება	**2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.3. სასწავლო კურსი

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

რეკომენდაცია II[16]	*რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;*
შეფასება	აღნიშნული რეკომენდაციის შესამოწმებლად, თუ რამდენადაა შესრულებული დაწესებულების მიერ, გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსები. შესაბამისად, რეკომენდაციის გათვალისწინებით, პროგრამის სასწავლო კურსებში ფორმულირდა სწავლის შედეგები. მოცემული სილაბუსების სწავლის შედეგები გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადია. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. აგრეთვე, რაკი არსებული რეკომენდაციიდან გამომდინარე, არჩევითი სასწავლო კურსის ,,კონფლიქტების და მშვიდობის თეორიების'' სწავლის შედეგების რეფორმულირება არ მოხდა და ლექტორის გადაწყვეტილებით სასწავლო კურსი ამოღებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამიდან. შესაბამისად მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევა[17] II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსის სილაბუსები; • ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №9 , 19 დეკემბერი, 2022 (ამონაწერი).

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია III	*რეკომენდებულია, დარგობრივ მემორანდუმებში დაკონკრეტდეს პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა;*

[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი პოზიციით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მემორნდუმები მეტწილად იდება უნივერსიტეტსა და ორგანიზაციებს შორის. აგრეთვე, როგორც ირკვევა უსდ-ს არ გააჩნია მემორანდუმის გაფორმების პრაქტიკა დამსაქმებელსა და ფაკულტეტს შორის. შესაბამისად, სტაჟირების ხანგრძლივობაც და სტუდენტების რაოდენობაც დამსაქმებლის მხრიდან განისაზღვრება, რაც შეეხება პრაქტიკის მიზნებს, ის მემორანდუმების ტექსტებშია გაწერილი. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარება შესაძლებელი ხდება ექსტრაკურიკულარულ კვლევით ჯგუფებში, სადაც წინასწარ დადგენილი თემატური მიმართულებების მიხედვით მუშაობენ კონკრეტულ საკვლევ საკითხზე. აგრეთვე სხვადასხვა კოლაბორაციულ ღონისძიებებში. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ უსდ-სა პრაქტიკის ან თანამშრომლობის აგენტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანამშრომლობის მდგრადობას. ვფიქრობ, ***უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულა***
რჩევა III	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ხელშეკრულებები/მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსის სილაბუსები.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია IV	*რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს დასწრების კომპონენტის შეფასების რელევანტურობა;*
შეფასება	როგორც უსდ მიერ ანგარიშში წარმოდგენილი აღწერითი ნაწილით, ასევე თანდართული დოკუმენტაციით (სასწავლო კურსის სილაბუსები) ირკვევა, 2022 წლის გაზაფხულის სემესტრიდან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების სილაბუსებიდან, მათ შორის „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებიდან, ამოღებულია დასწრების, როგორც ერთ-ერთი კომპონენტის შეფასება (ქულები). **ამრიგად, რეკომენდაცია შესრულებულია**

რჩევა IV	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები; • ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №1, 18 იანვარი, 2022.

სტანდარტის დასახელება	**2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია V	*რეკომენდებულია, გადაიხედოს და დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესში სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ერთჯერადობა; განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; გასწორდეს ჩანაწერი F/FX შეფასებასთან დაკავშირებით;*
შეფასება	როგორც უსდ მიერ ანგარიშში წარმოდგენილი აღწერითი ნაწილით, ასევე თანდართული დოკუმენტაციით (სასწავლო კურსის სილაბუსები) ირკვევა, 2022 წლის გაზაფხულის სემესტრიდან, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსებში შეფასების სისტემა შეიცვალა. მიღებული ცვლილების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით. ასევე, ჩასწორდა ჩანაწერი F/FX შეფასებასთან დაკავშირებით. აღნიშნული ცვლილება დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №1, 18 იანვარი, 2022) **ამრიგად, რეკომენდაცია შესრულებულია**
რჩევა V	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები; • ფაკულტეტის საბჭოს ოქმი №1, 18 იანვარი, 2022.

სტანდარტის დასახელება	**5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**
კომპონენტის დასახელება	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
რეკომენდაცია VI	*რეკომენდებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება/გააქტიურება პირველ და მეორე სტანდარტთან მიმართებით.*
შეფასება	წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ საგან-მანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის უნივერსიტე-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს შესაბამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმების ხელშეწყობის მიზნით,

	რეგულარულად ტარდება გამოკითხვები აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. შესაბამისი მონაცემების გაანალიზების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები გამოიყენება დამატებითი საჭიროებების განსაზღვრისას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებსა და რეკომენდაციებს რეგულარულად აცნობს დაინტერესებულ მხარეებს. ასევე ირკვევა, რომ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დანერგილია პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასების მექანიზმი, რომლის ფარგლებში პერიოდულ მონიტორინგს ექვემდებარება პროგრამები, აღნიშნული პროცესის სიმულაციური ფორმატი ხელს უწყობს პროგრამების შეფასებას, ასევე, დაინტერესებულ და ჩართულ მხარეთა მიერ პროგრამების განვითარების შესაძლებლობების იდენტიფიცირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად და შესაბამისად სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევა VI	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • კითხვარები (სილაბუსის შეფასების ფორმა და ინდიკატორები; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა და ინდიკატორები); • სასწავლო და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი.

ექსპერტის ხელმოწერა